ბის შედეგია, მაშინ რუსეთზე მეტი სტრატეგიული მოკავშირე საქართველოს არ ჰყავს, რადგანაც ყოველწლიურად იქიდან საქართველოში მილიონობით ტურისტი ჩამოდის! რაც შეეხება „ჩვენი ჯარისკაცებს“ — ერთად ჰამა-მამას და ბროლას „საერთო მტრის წინააღმდეგ“, შევასხენებდი ქალბატონ ელჩს, რომ ქართველი და რუსი სამხედროები, ჯარისკაცები, ოფიცრები და გენერლები ერთად ომობდნენ და კვდებოდნენ მრავალ ბრძოლაში, მათ შორის, საქართველოდან 700 ათასი კაცი გმირულად დაეცა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში! და თუ ელჩს ისტორიულ მიმოხილვაზე ჰქონდა პრეტენზია, რატომ არ გაიხსენა ჩვენი ხალხების ყველაზე დიდი მძღვენი — დიდი გამარჯვება მერვე მსოფლიო ომში?! ქართველი ხალხის მაშინ საბჭოთა ხალხების ერთიანი ოჯახით ვიზიტორის ჩამოსვლის შემდეგ გადაიზარდა მჭიდრო და გრძელვადიან მეგობრობაში. ჩვენი ჯარისკაცები ერთად სწავლობდნენ, ერთად იწვრთნებოდნენ, ერთად მიუხდებოდნენ სუფრას და როცა საჭიროა, ერთად იბრძვიან... საერთო მტრების წინააღმდეგ ერთად და ავლანეთში...“ ჯერ ერთი, თუ „ათასობით ვიზიტორი“ ამერიკიდან საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლო-

იმის გაბივრად, რომ აშშ, რომელმაც თავისუფალი მისცა ბევრ ქართველ ემიგრანტს, ჩვენთვის ისევ მადლიერებისა და აღტაცების საგნად დარჩენილიყო, მენტორებად ქვეყნის იმ ელჩების წყალობით, საქართველოს შიდა საქმეებში უხეშად რომ ერევიან და ლამის დღის წიგნაკს გვასწავლიან, ქართველებს დღეს დასავლეთისკენ გახედვაც კი ათარსებენ. თუმცა, ვაღიარებ, რომ საქმე მართლაც აშშ-ის ორ ზემოთ ნახსენებ ელჩში როდია — ჩვენი ქვეყნის ვითომ „პროდასავლური“ მხრის მხარეების უმრავლესობა თავისი შოკისმომგვრელი უკულტურობით, უფიცობითა და უზრუნველობით, უფრო უცხოელანეტლებს გვაგონებენ, ვიდრე ქართველებს! აი, რატომ უყურებს დღეს ხალხი აშშ-ს, როგორც ბოროტების იმპერიას, კოლონიზატორსა და დამპყრობელს, რომელსაც ქართველები კი არა, საქართველოს ტერიტორია სჭირდება რუსეთისა და რეგიონის სხვა ქვეყნებზე იერიშის მისატანად!

ტრაქტატი და 30

ბატრაქტატი უკლი

წელიწადი



დაც თქვენი ცრუ დემოკრატიული იდეებისათვის ათასობით ქართველი დაიჭრა, ასობით — სამუდამოდ დაინვალიდა, ხოლო ათობით — დაიღუპა! მაგრამ რატომღაც არ გვასწავლებს, რომ თუნდაც ერთ ამერიკელ ჯარისკაცს ეომე საქართველოს დასაცავად! თუ ასეთი მაგალითები არსებობს, რატომ არ მოიკვანთე თქვენს ანგარიშში, და რატომ გაგასწავლათ მხოლოდ ის მილიარდ-ნახევარი დოლარი, რომელიც საქართველოს შეიარაღების შესაძენად გადაურიცხეთ?! თანაც ისევე თქვენი, ამერიკული, მოძველებული და ვადავასული იარაღის შესაძენად, რომელიც გსურთ, რომ ქართველებმა ისევ რუსების წინააღმდეგ გამოიყენონ, როგორც 2008 წლის აგვისტოში!

„მეორე კრიტიკული ფაქტორი, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს სტრატეგიულ ურთიერთობას, არის ჩვენი საერთო დემოკრატიული და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ღირებულებები, რაც ბუნებრივ პარტნიორებად გვაქცევს ამ რთულ სამეზობლოში“, — ამბობს ღმინანი მორიგ სისულელეს. ის იმდენი ხანია, საქართველოში მუშაობს, რომ უნდა ესმოდა, რომ ქართველებისთვის სიტყვები „საბაზრო ეკონომიკა“ და „ღირებულებები“ შეუთავსებელია! და რომელ „ბუნებრივ პარტნიორებად“ საუბრობს იმ ქვეყნის ელჩი, რომელიც საქართველოდან ათასობით კილომეტრის გადაღმა მდებარეობს?! ქართული ეკონომიკის ბუნებრივი პარტნიორები არიან მისი, და არა აშშ-ის მე-

ზობლები, რომლებთანაც მილიარდობით სავაჭრო ბრუნვა გვაქვს — რუსეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში, ირანში, სომხეთში, რომლებთან ერთადაც „3+3“ ფორმატში თანამშრომლობას დგანს საქართველოს უკრძალავს — ემანდ რუსთაველის სამშობლო წელში არ გაიმართოს და მართლა დამოუკიდებელი არ გახდეს!

შემთხვევითი როდია, რომ თამარ მეფის, სულხან საბა-ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის აბაღებდა მიქსის შემდეგ კმლი ღმინანი პრეზიდენტ ბუშს მეორედ ასვენებს, რომელიც საქართველოს „უწიდა დემოკრატიის შუქურა“ 2005 წელს საქართველოში ვიზიტის დროს. როგორც ჩანს, ქალბატონი იმ პრეზიდენტ ბუშის დროში ჩარჩა, რომელთანაც კარიერა გაიკეთა, და ისევე იმ გემზე იმყოფება, სადაც სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის თანამშრომლის მოვალეობებს ასრულებდა! წინააღმდეგ შემთხვევაში ეცოდინებოდა, რომ ბუშმა „დემოკრატიის შუქურა“ საქართველოს მამინდელ პრეზიდენტ სანაბაძეს უწოდა და ზუსტად ამით ჩაეყარა საფუძველი გაუცხოებას ქართველ ხალხსა და აშშ-ს შორის! ანუ, ეს იყო უდიდესი შეცდომა აშშ-ის ელჩის მხრიდან, როგორც სხვა მრავალი — მაგალითად, ნოე ფორდანიას მიმართ ბანეგირი და მისი ილია ჭავჭავაძისთან გაიკვირება, როგორც რუსეთთან მეგობრობის მოწინააღმდეგის, რაც ისტორიის უნებურ ფალსიფიკაციას წარმოადგენს!

ერთნაირსავე ქორწინებასა და ომს ამჟამინეს მართლმადიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მშვიდობიანი გზა. „საქართველოს პოლიტიკური, სამართლებრივი და მმართველობითი ინსტიტუტები კვლავ არ არის საქართველოს განვითარებული და ვერ პასუხობს დემოკრატიულ იდეალებს, რასაც კიდევ უფრო აფერხებს უაღრესად ტენდენციური და პოლარიზებული პოლიტიკური გარემო... მიუკერძოებელი დემოკრატიული ინსტიტუტები საუკეთესო დაცვა ავტოკრატიული ტენდენციებისგან და მათგან, ვინც თითქმის ყველაფერს გააკეთებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად. საქართველოს ისტორია აჩვენებს, რომ ეს არა-შორსმჭვრეტელი ტენდენციები წარმოუდგენლად საშიშია და საფრთხის ქვეშ აყენებს ბოლო 30 წლის განმავლობაში მიღწეულ პროგრესს“ — აცხადებს ღმინანი. ისმის კითხვა —



ნოე ვი დონი უმეჯაბა, მიხეაძაძე დანარკული მილიარდობისა, ქართველები თანხის არ იქონიან და უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, მაინც არ ახიჯებენ უხეს სახაზს, მაგანის სიღრმეს აკლავინისაგან თანხებითი ასი ათასი მონათის მსგავსად? იქნებ ამის უმეჯაბა რინოვნიკაგა ვაშინგტონში დახაროვ მოხაროვ პაროქი „GEORGIA“ და ბოლოს და

ბოლოს, დაგვანებოთ თაქი?!

მოხსენების დარჩენილ ნაწილში აშკარად იკვეთება, თუ რა შეურაცხველი დაბალი აზრისაა ამერიკელი მისიონერი ღმინანი ქართველებზე: სარგებლობს რა ქართველებისთვის დამახასიათებელი სიამაყით და ფეთქებადობით, ის ყველა ფორმით გავლიზინებს რუსების წინააღმდეგ და გამოწვევად გვიმტკიცებს, რომ მათ დედა გვიტირებს, ჩვენი სისხლი დალივს, ჩვენი წინაპრების საფლავები წაბლწვს და ჩვენი შვილები შეურაცხველს! პარალელურ რეჟიმში დგანს თუთიყუშოვით იმეორებს, რომ საქართველოს 30 წელი აშშ-ზე უკეთესი მეგობარი არ ჰყოლია და არც ეყოლება! არადა, ნამდვილი მეგობრები ასე არ იქცევიან, პირიქით, ისინი ცდილობენ დაპირისპირებული მხარეების შერიგებას და თუ არცთუ შორეულ წარსულს გავისხენებთ, იან კმლისა და კმლი ღმინანის წინა ელჩებმა არაერთხელ მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას, რუსეთთან საერთო ენა გამოეხატა! მაგრამ, როგორც კი სახელმწიფო მდივანი პილარი კლინტონი გახდა, ეს პოლიტიკარადიკალურად შეიცვალა! დაბოლოს არ შეიძლება გვე-

რდი აფუაროთ, თუ როგორ შეურაცხეო ელჩმა საქართველო, როცა ანგარიშში საქართველო, პრაქტიკულად, კანონიერი ქურდების ქვეყნად, ხოლო ქართველები კანონიერი ქურდებდად გამოაცხადდა! „თქვენ ნახეთ, როგორ ატერორიზდნენ კანონიერი ქურდები ჩვეულებრივ მოქალაქეებს და ძირადად ჩვეულებრივ უკანონოებს!“ — ამბობს ღმინანი მოხსენების დასასრულს, რის შემდეგაც მისი ხმატბილი ორატორიულობა „საქართველოს უნიკალური კულტურის, რწმენისა და ტრადიციების მუარ საძირკველზე აუვაგებულები და ინკლუზიური ქვეყნის მშენებლობასთან“ დაკავშირებით ძალიან არადამაჯერებლად ჟღერს! თანაც ელჩი დასძინდა, რომ აშშ საქართველოს მასთან 30 წელთანმდებლად მომდევნო შეულოც არ დაანებებს თავს: „თქვენ გინახავთ ომი, ბრძოლა, პოლიტიკური არეულობა, რევოლუცია, მაგრამ ასევე ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა“ — ამბობს კელი, რითიც პირდაპირ ანიშნებს „ქართულ ოცნებას“, რომ დროა, ოპოზიციამი გადავიდეს და ძალაუფლება ისევ ნაკომარობას დაუთმოს, რათა საქართველოში, აშშ-ის მსგავსად, ორპარტიული სისტემა ჩამოყალიბდეს.

ელჩის ანგარიში გრძელდება პროპაგანდისტული ნაწილით მენშევიკურ სტილში, რომელიც თანამედროვე თეზისებით არის გაუღნითილი, როგორცაა „შავი ზღვის უსაფრთხოება“, „რუსეთის ოკუპაცია“ და „გაუღნის სფეროები“. ისე, რაც დრო გადის, ვრწმუნდებით, რომ ვაშინგტონში იციან საკუთარი ელჩების დაბალი დონე და ამიტომ პერიოდულად უგზავნიან სასაუბროს გამწვანებული მორიგი ფრაზებით, რომ ცენტრის პოლიტიკისთვის მიუღებელი სისულელე არ წამოირომონ! მაგრამ დღეგანა ამას მიანიც ახერხებს, მაგალითად, როცა მმშმ ღმინანი — როგორც საქართველოს ნატოში გაწევრიანების მომხრედ, ხოლო ქართველებს ძირადად ეგროპელებად მოიხსენებს, რომ აღარაფერი ვთქვათ სააკაშვილის, ანუ ოპოზიციის მიმართ გამოვლენილ დაუფარავ სიმპათიებზე.

აი, რატომ ამთავრებს თავის პრიმიტიულ მოხსენებას აშშ-ის ელჩი ივანიშვილის ხელი-სულელებისა და, საერთოდ, „ჩამორჩენილი“ ქართველების კრიტიკით, რომლებმაც ლგბტ-ს,

ბოლოთქვა


დღეგანის ამ „ტრაქტატის“ წაკითხვის შემდეგ, რომლის 90% წყალწყალა დგანაგოგის წარმოადგენს და 10% — სიბუღებით გაუღნითილ პროპაგანდას, ხვდები, თუ რატომ ჰგონიათ დღეს საქართველოში ყველა განათლებული და გონიერი ადამიანი გიყვი! დღეს რომ გონიერება არ ფინანსდებოდა! მაგრამ რა მომავალი აქვს ქვეყანას, სადაც გონიერება სივრცის ტოლფასია და ინტელექტი, აშშ-ის საელჩოს აზრით, საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ინტელექტულების შესრულებას მხოლოდ და მხოლოდ მორჩილება სჭირდება?! დე ეს ყველაფერი იმ ქვეყნის ელჩის ნაუბარია, რომელიც ყველაზე ძლიერ იმპერიად იმიტომ იქცა, რომ მთელი მსოფლიოდან ყველაზე მოაზროვნე ხალხს მისცა თავმესაფარი და ღირსეული ცხოვრების საშუალება! ჩვენ ასეთ ამერიკას ვიცნობდით და ასეთი ამერიკა გვიყვარდა! ჰკვიანი ადამიანი კი აუცილებლად თავისუფალია და აღრე თუ გვიან „შერეკილებს“ არ იყოს, აუცილებლად „გაფრინდება“, ხოლო შტერს ფრენა სიზმარშიც არ ძალუქს. აი, სანდ არის ზეზმარტი თანხისუფლება და დემოკრატია, ძალბატონო დგანა!

ჰყავდა საქართველოს

ასეთი დიდი კულტურის მინისტრი -

ოთარ თაქთაქიშვილი!

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს კულტურის მინისტრი **ოთარ თაქთაქიშვილი** სსრ კავშირში შემაჯავებელი სხვა რესპუბლიკების კულტურის მინისტრებთან ერთად ამერიკაში იმყოფებოდა. დაბრუნებისას, როდესაც ამ დელეგაციის ერთ-ერთ წევრს ჰკითხეს, ამერიკაში ყოფნის პერიოდში ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რამ მოახდინაო, **ოთარ თაქთაქიშვილი**მომლოდინა: **ლიბნ, ჰყავდა საქართველოს ისეთი კულტურის მინისტრი, რომელიც, იმის ბარდა, რომ დიდი კომპოზიტორი იყო, ყველაზე და ყოველთვის ყურადღებას იმცემდა თავისი ბანათლებით, კულტურითა და სიტყვა-პასუხით. იყო უზადო პატრიოტი, გალანტური, არტისტული და სიკეთით სავსე, რომელიც ყველას უყვარდა და რომლის იმედიც ჰქონდათ, რომ გამოუვალ სიტუაციაში თავის სეფსიტყვას იტყოდა. დღეს ჩვენი სტუმარია ოთარ თაქთაქიშვილის ვაჟი მინხილ თაქთაქიშვილი. რომელიც იხსენებს მამას — საქართველოს ლეგენდარულ კულტურის მინისტრს ოთარ თაქთაქიშვილს:**



„არ მახსოვს, მამას ვინმესთვის უპატივცემულად მივმართა!“

— მისი მეგობრები იყვნენ ჩვენი სახელოვანი ადამიანები — **თეიმურაზ ბუბუხიძე, ზურაბ ანჯაფარიძე, ზურაბ სობახიძე, ცინცინა ტატიშვილი, დავით ანდლუაძე**, სხვა შემსრულებლები თუ კომპოზიტორები — **სულხან ცინცაძე, არჩილ ჩიბაძე, რაფი ლალიძე, გიორგი სვირიდოვი, ანზორ მარტოვიანი**, რეჟისორი **გიორგი შორაღანი**, ყველას ჩამოთვლა გამიჭირდება. ეს მომენტები ხშირად იყვნენ ჩვენი სახლში, მამა მათ თავის ჩანაფიქრს უხსნიდა, როცა სიმღერას დაიწყებდნენ, სახლი ზანზარებდა. ეს იყო განუყოფელი წუთები. სხვათაშორის, მამაჩემის მეგობარი იყო კოსმოსური ხომალდების დიზაინერი, სსრ კავშირის კოსმოსური პროექტის ერთ-ერთი ფუნქციონერი **მიხაილ სპაკოვსკი**. ისინი ერ-

— მამაჩემის — **ოთარ თაქთაქიშვილის** ცხოვრება იმ იდენტობა და მიზნით იყო სავსე, შექმნა გენიალური მუსიკა და ბოლომდე ქართველი ერის სამსახურში ყოფილიყო. შეპყრობილი იყო მუსიკით, როდესაც პულტთან იდგა, საოცარი სანახაობა ხდებოდა, ისეთი აღმაფრენით იყო აღსავსე, გვერდებოდათ, მიწას არც კი ეხებოდა. სახლში ძალიან ბევრს უკრავდა, ჩემი ოთახი მისი კაბინეტის გვერდით იყო, ყველა ტაქტი და ნოტი ვიცოდი. როდესაც სადმე მიდიოდა, იმ იშვიათ შემთხვევაშიც კი, თუკი ადგილზე ისტრუმენტი არ დახვედებოდა, პარტიტურაზე მუშაობდა. ულვეი ენერჯია ჰქონდა. 33 წელია, რაც აღარ არის, მაგრამ სახლში მისი კაბინეტი ისევ ისეთაა, როგორც დატოვა, ხელუხლებელია მისი როიალიც, პიანინოც...

მინხილ თაქთაქიშვილი:



და 30-იან წლებს, იმ საშინელებას, რაც საქართველომ მამის გამოიარა. — **ოთარ თაქთაქიშვილი საქართველოს კულტურის მინისტროში კონსერვატორი იდნა მივიდა...** — რექტორი იყო და ამბობენ, რომ კონსერვატორიაში ის წლები აღორძინების ხანა იყო. პრაქტიკულად, კონსერვატორიის დარბაზი ოპერის თეატრის მცირე დარბაზად აქცია, ქუთაისში გახსნა ოპერის თეატრი. ნიჭიერ სტუდენტებს საზღვარგარეთ სტაჟირებაზე აგზავნიდა, ეხმარებოდა სტიპენდიის მიღებაში, ცდილობდა, ყველასთვის მოეხსნა აქტიური ფუნქცია. ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ კონსერვატორია განთავსებულიყო უფრო დიდ

ფართობზე, ვიდრე იმხანად ჰქონდა დათმობილი. კულტურის მინისტრად როცა დაინიშნა, ქართული ხელოვნების ქომაგად იქცა, საზოგადოებასთან შეხვედრის ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა, ლაპარაკობდა ჰკვიანურად, აზრიანად, ამბავდროს, ჰქონდა იუმორის გრძობა, იცოდა მრავალი ანექდოტი. **არ მახსოვს, მამას მინისტროს უპატივცემულად მივმართა!** კარგად იცოდა საქართველოს ისტორია და კულტურა, წერდა სიმფონიებს, ვოკალურ ნაწარმოებებს, შეისწავლა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები, შექმნა დიდი ჟანრული კანტატა, ბრწყინვალედ შეისწავლა ფოლკლორი, იღვწოდა ნაციონალური შეგნების ამაღლებაზე, მხარს უჭერდა ნაციონალური ფესვებიდან აღმოცენებულ მუსიკას. მამაჩემი არ იყო კოსმოპოლიტი, უპირველესად, საქართველო მიიჩნეოდა უდიდესი კულტურის მქონე ქვეყნად და ამას ყველა გამოსვლაში გამოხატავდა. — **საბჭოთა პერიოდში ამის წამაღლა გაუჭირდა ილია არ იყო...** — წინააღმდეგობები ჰქონდა. მაგალითად, როდესაც „მინდი-

ს“ დადგმის საკითხი იხილებოდა, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ განაცხადა — მინდია ხალხს განუდგა, არაჰუმანურია და არ უნდა დაიდგასო. საბედნიეროდ, სხვებმა მამას დაუჭირეს მხარი და 1961 წელს „მინდია“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგა (რეჟისორი **გიორგი შორაღანი**), შემდეგ წლებში დაიდგა „სამი ნომელი“, „მთხარის მოტაცება“, რომლის პრემიერაც 1977 წელს მოსკოვში — დიდი თეატრის სცენაზე შედგა. ამასთან დაკავშირებით არსებობს გიზო ჟორდანიას მოგონება: „მთხარის მოტაცების“ პრემიერაზე ზვიად გამსახურდია მოსკოვში ჩასულა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ხალხს ზვიადთან ღია ურთიერთობის ეშინოდა. მიუხედავად ამისა, არც მამაჩემს, რომელიც მამის უკვე კულტურის მინისტრი იყო და არც გიზო ჟორდანიას უკან არ დაუხევიათ, ზვიადთან მისულან და საუბარი დაუწყიათ. კარგა ხნის ლაპარაკის მერე, მამას ხელი ჩამოუჭრეს და მისთვის, გადაუწყვიტა და ისე დაშვიდობდა“.

„მამაჩემი არ იყო კოსმოპოლიტი, უპირველესად, საქართველო მიიჩნეოდა უდიდესი კულტურის მქონე ქვეყნად და ამას ყველა გამოსვლაში გამოხატავდა!“

თად სწავლობდნენ საავიაციო ტექნიკუმში, ვიქტორმა დაამთავრა ეს ტექნიკუმი, მამამ — არა, რადგან კონსერვატორია აირჩია. ვიქტორი თავის სამსახურის შესახებ არ საუბრობდა, მხოლოდ ღიმილით იტყოდა, ამ თემებზე საუბარი არ შემიძლიაო. — **ამბობენ, რომ ოთარ თაქთაქიშვილს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მეუღლესთან — ირინა ჭირაქაძესთან...** — დედაჩემი პროფესიით მიკრობიოლოგი იყო, მაგრამ მთელი სიცოცხლე ავადმყოფობდა, პრაქტიკულად, სულ იწვა. მამაჩემი მის მიმართ იყო ძალიან ყურადღებიანი, საოცრად უყვარდა და ზრუნავდა მასზე, ზრუნავდა დედაჩემის მშობლებზეც, ამასაც სამაგალითო პიროვნება იყო, ცდილობდა, მის ირგვლივ ყველა ბედნიერი ყოფილიყო. უცხოეთიდან დედაჩემისთვის ჩამოჰქონდა საკმაოდ ძვირადღირებული პატარა თოჯინები, რომლებიც დღესაც ინახება ჩვენს სახლში. მამაჩემის მეორე დედა 30 წელი იცოცხლა, ორი წლის წინათ გარდაიცვალა.

მინდა, პერსონალურად დიდი ვაღლობა

გადაუხადო დიდ მახანაგს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც მკავალი წლის განმავლობაში მამაჩემის დამსახურების გამო დედან პენსიას აქლავდა, მაღლობა ყველა იმ სიკეთისთვის, რას მან საქართველოს გაუკეთა.

ასევე უდიდესი საქმე გააკეთა თბილისის დღევანდელმა მერმა პაპაძემ კალაშნიკოვთან...
— გაინსენენეთ ოთარ თავაძის შვილის ბოლო შეხვედრა აუდიტორიასთან...
— ბოლო კონცერტი კონსერვატორიაში გაიმართა, მაშინ უკვე სიარული უჭირდა. ზუსტად სტატილამამ ციკლში „აკაკის ჩანგი“ იმღერა, აკომპანემენტს მამა უკეთებდა. როცა კონცერტი დასრულდა, მაყურებელი დიდხანს ფეხზე იდგა და ტაშს უკრავდა. ეს იყო დამწვინდობა. ხუთი წლის მანძილზე მამა პროსტატის კიბოს ებრძოდა, იტანჯებოდა, ბოლო 2 წელი იწვა. დაკვრა რომ შეძლებოდა, სპეციალური ინსტრუ-


მენტი შეეუძინეთ, რომელიც სადგამზე იყო დამაგრებული და შესაძლებელი იყო საწოლთან მიგორება. 64 წლის ასაკში გარდაიცვალა.
— ვინ არიან ოთარ თავაძის შვილის შთამომავლები?
— მე, მიხეილ თავაძის შვილი, ქიმიკოსი ვახლავართ, მყავს ერთი შვილი ოთარ თავაძის შვილი, ექიმი, რომელიც მუსიკალურ კომპოზიციებსაც ქმნის. მყავს ორი შვილი-შვილი, ამათგან ერთ-ერთს ოთარის შვილი, ცხოვრობენ ამერიკაში. სახელი ოთარის იქ ეწოდებოდა, მაგრამ თვითონ შვილიშვილს ძალიან მოსწონს და ამბობს.

ბედნიერი ვარ, რომ ღირსეული კახის შვილი ვარ, თავისი ქვეყნის პატივების და გულშემატკივრის, იმ კახის, რომელიც დედამ უყვარდა და რომლის სახელიც დავიწყებას არასოდეს მიხმება!

ბოლოთქვა

ოთარ თავაძის შვილი 19 წლის ასაკში, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, დაწერა **საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნი**. საქართველოს კულტურის მინისტრი იყო 1965-1984 წლებში, ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებების მიხედვით დადგა ოპერები, ვოკალური ციკლები ცნობილი პოეტების, მათ შორის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსებზე, ორატორიები და კანტატები, საგუნდო პიესები, მუსიკა დრამატული სპექტაკლებისათვის... ის იყო მოსიარულე სიკეთე, რომლის სიტყვა-პასუხი მაღლით იყო შეზავებული. დაკრძალულია თბილისის საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ესაუბრა ქათავან ხაინძაშვილი



დიახ, ჰყავდა საქართველოს ისეთი კულტურის მინისტრი, რომელიც, იმის გარდა, რომ დიდი კომპოზიტორი იყო, ყველგან და ყოველთვის ყურადღებას იქცევდა თავისი განათლებით, კულტურითა და სიტყვა-პასუხით!

ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებსა და საქართველოში განვითარებულ მოვლენებს აფასებს თურნალ „ვეტერანს თუდის“ საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელი ჯეფრი სილვერმანი:


— 20 წელზე მეტია, რაც საქართველოში ვცხოვრობ და ერთ რამეში დავრწმუნდები, რიგითი ამერიკელისა და ქართველის ცნობიერება ერთნაირია, პატივს სცემს ტრადიციას, უყვარს ოჯახი და ღვთის მოშიშია. სიტუაციას პოლიტიკოსები რომ არ ართულებდნენ, საქმე გაცილებით უკეთ იქნებოდა. ავიღოთ თუნდაც აშშ-ის ელჩი საქართველოში კაილი ემბანანი — იგი ცხვირის ტყავში გახვეული მგელია, რომელსაც ბევრი მატყლი აქვს კბილებში ჩარჩენილი და ძალიან გარჯად არის ცნობილი მისი საზღვაო-სადაზვერეო გამოცდილება და რეჟიმის შეცვლის რწმუნებათა სიგელები. ელჩი იმ ხალხის გულშემატკივარი უნდა იყოს, სადაც მივლინებულია და მას არ უნდა ებრძოდეს. მართლმადიდებელი ხალხი დაიღალა ელჩების განცხადებების განხილვით, ვინ რა თქვა და რა იზულისება, საქართველო საკუთარ თავს თვითონ მიხედავს, მსოფლიო დონის პოლიტიკოსებიც ჰყავდა და სახელმწიფო ლიდერებიც. წარმოშობით ქართველი ჯონ მალსაზი „შალიკაში“ ამერიკის არმიის გენერალი და მისი შეიარაღებული ძალების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის

„ქართველი ხალხი დაიღალა ელჩების განცხადებების გაუიფვირით, ვინ რა თქვა და რა იზულისება!“



„კულტურის მინისტრად ჯერ სანაძო რეპუბლიკის ნიკა რეჩუა იჯდა. ახლა თან ნულუკიანი დანახს, რომელიც ხელოვანი არ არის. ავიწყდებათ, რომ კულტურას აინგებრანებს ის, რას სამსახურებრივ რეზიუმეში არ იწერება: სული და სიყვარული!“

ხელმძღვანელი იყო...
20 წლის წინათ მას შეეძლო საქართველოში დაბრუნება და პრეზიდენტობაც კი, მაგრამ, როდესაც აღმოაჩინეს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს მამის დიმიტრი შალიკაში ვეტერანად ნაცისტებთან ჰქონდა კავშირი, მიხვდნენ, რომ ჯონ მალსაზი „შალიკაში“ ვეტერანად ნაცისტებთან ჰქონდა კავშირი, დასავლეთი არ მიიღებდა, ამიტომ უკან დაიხიეს. ასეა, პოლიტიკაში მამების ცოდვები შვილებზე გადადის.
— ამერიკაში მოღვაწეობდა ქართველი ხელოვანი ჯორჯ ბალანჩინი, იგივე გიორგი ბალანჩინი, რომლის სახელიც საამაყო ქართველებისთვის...
— დიდი ხელოვანები უყვარს ამერიკას, ისინი უფრო მეტს



ჯეფრი სილვერმანი:

აკეთებენ საკუთარი ქვეყნისთვის, ვიდრე პოლიტიკოსები. თუმცა, სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არც საღად მოაზროვნე პოლიტიკოსებს ეძლევათ საქმის კეთების საშუალება და აღარც ხელოვანებს, ყველაფერი ერთმანეთში აირია. ალბათ თუ საბაზილიკა „ჩამცხა“ მშენებლის თანამდებობა ადამიანები, ახლა მუშაობდნენ ბაზილიკის კვალიფიციური კადრები. სილვერმანში არ შევალ, მაგრამ ვიტყვი ერთს — კულტურის მინისტრად ჯერ სანაძო რეპუბლიკის ნიკა რეჩუა იჯდა, რომელმაც დიდი ხელოვანი რიხა ბერბერი გაუშვა თეატრიდან, ახლა თქვენ ვუშლიან დასვენს, რომელიც ხელოვანი არ არის. ავიწყდებათ, რომ კულტურას აინტერესებს ის, რაც სამსახურებრივ რეზიუმეში არ იწერება: სული და სიყვარული!

ქვეყანა ისეთ ქაოსშია, რომ გეზინია, პროტესტანტებისა და კუბანობების მსგავსად, ხალხი ერთმანეთს არ დაერიოს!

კულტურა პოლიტიკა არ არის, რომ დაყო და იბაგონო. ამიტომაც იყო, რომ ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში არსებული ყველა თეატრი გააკრძალა და განეკუთვნა პოლიტიკური გამოვლენისა და განსხვავებული

აზრისა, ხალხს კულტურული ქარები შეუნარჩუნა.
ახლა, თუკი ამ სფეროში არსებული დარღვევების გამოძიება სურთ, ამისათვის არსებობს სათანადო ორგანოები — პროკურატურა, ექსპერტები, გამოძიება. მაგრამ რაღა შორს წავიდე, ბოლომდე არ მიიყვანეს ზურაბ ჟვინიას საქმე, არ გამოიძიეს, ვინ და რატომ გაანადგურა მტკიცებულებები... ბოლომდე არც ნაციონალურების დანაშაულებს იძიებენ და ქვეყანა ისეთ ქაოსშია, მეშინია, პროტესტანტებისა და ჰუმანობების მსგავსად, ხალხი ერთმანეთს არ დაერიოს.

— გამოსავალს რაში ხედავთ?
— ცხოვრება განსაკუთრებით უარესდება რიგითი ადამიანებისათვის, „ქართული ოცნება“ კი საკუთარ სიხარულს ვერ ელევა. ისლანდ ბრძანების, მინისტრის, რეალურად ვინ ბრტავს ამ მშენებანს? პრეზიდენტად გვყავს საფრანგეთიდან დაბრუნებული სალომე ზურაბიშვილი, ხოლო კულტურის მინისტრად — ასევე საფრანგეთიდან დაბრუნებული თქვენ ვუშლიან და იქნება არა ეს შემთხვევითი?

ესაუბრა ქათავან ხაინძაშვილი

თუ რუსეთმა უკრაინაში სამხედრო ინტერვენცია ვერ გაბედა და საზღვართან მობილიზებული სამხედრო ძალები დისლოკაციის ადგილებზე დააბრუნა, ეს არც ამერიკის შეერთებული შტატების დამსახურება იქნება, არც — ნატოს, არც — ევროკავშირის, არც — ჯო ბაიდენის, არც — იენს სტოლტენბერგის და არც — შარლ მიშელის!



ნაპოლეონის მამიკა ნონა მამულაშვილი უკრაინაში



ნალენჯინის მერი გიორგი ხარჩილაძე



თუ რუსეთმა უკრაინაში შეჭრა ვერ გაბედა და უკან დაიხია, ეს მხოლოდ და მხოლოდ ორი დიდი ქართველი პოლიტიკოსის, მსოფლიო დონის ორი დიპლომატის — ნონა მამულაშვილისა და გიორგი ხარჩილაძის წყალობით მოხდება.

ნონა მამულაშვილი საქართველოს პარლამენტის წევრია ნაციონალური მოძრაობიდან!

გიორგი ხარჩილაძე წალენჯინის მუნიციპალიტეტის მერია ასევე ნაციონალური მოძრაობიდან!

ნონა მამულაშვილი ადგა და უკრაინისადმი მხარდაჭერის ნიშნად კიევში ჩავიდა!

გიორგი ხარჩილაძე ადგა და წალენჯინის საკრებულოში უკრაინის მხარდაჭერის განცხადება გააკეთა! რუსთველშივე ვლადიმერ პუტინს კიევში ჩასული, სამხედრო კამუფლაჟში გამოწყობილი და ქართველი მოხალისეებისაგან შემდგარი უკრაინული სამხედრო რაზმის — „ქართული ლეგიონის“ წევრებთან ერთად მოპოზიორე ნონა მამულაშვილი რომ დაუნახავს, შიშისაგან აკანკალებულა, შუბლი ცივი ოფლით დაცვარვია და კაბინეტში მაშინვე საკუთარი პრესმდივანი ლიმიტრი პასკოვი გამოუძახებია — სასწრაფოდ დამიდგინეთ, ვინ არის ეს ქალი, ნამდვილი ამორძალის გამოხედვა რომ აქვს და ხმაში ფოლადს ურევს, ემანდ ჩვენი ჯარისკაცები არ დაგვიფრთხოს და უკრაინის ადების გეგმა არ ჩაგვიფლავოს!

პასკოვი პუტინის კაბინეტიდან შეცბუნებული გასულა, მაშინვე დაფაცურებულა, საქეში კრემლის საიდუმლო სამსახურები ჩაურთავს და ათიოდ წუთში პრეზიდენტისათვის მოუხსენებია — თქვენო უდიდებულესობა, ეს ქალი საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, ნაციონალური მოძრაობის წევრი და უკრაინაში მოქმედი „ქართული ლეგიონის“ მეთაურის მამულაშვილისა და განცხადებით!


ამის გაგონება იყო და, რუსთველშივეს სახეზე ვერც ვადასჯილია, მზერაში სასოწარკვეთა ჩაღვამია და მეტყველების უნარდაკარგულს საკუთარი პრესმდივანისათვის ხელის აწვევით უნიშნებია — გადი, მარტო დამტოვე!

პუტინის ასეთ მდგომარეობაში დაბნახვ და თავდაც არანაკლებ დაზარალებულ პასკოვს, რომელსაც ნონა მამულაშვილის შესახებ სხვა ცნობებიც ჰქონდა შეგროვებული, ვეღარ გაუბედავს, რომ პრეზიდენტისათვის დამატებით მოეხსენებინა — ეს ის ნონა მამულაშვილია საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში მაკედონზე ფეხშეშველი რომ დახტოდა, ხოლო მისი და — მანის მამულაშვილი ქართული ოპოზიციური ტელეარხის — „ტვ პირველის“ ეთერში საავტორო გადაცემის მრისხანე წამყვანია!

პესკოვი მიხვდა, რომ ამ ინფორმაციის მოსმენა რუსთველშივეს სულ მთლად მოუთავებდა ხელს და კაბინეტიდან უსიტყვოდ გავიდა.

რუსეთი, ძრწოდე ნონა მამულაშვილისა და გიორგი ხარჩილაძეს წინაშე!

იმ წუთიდან მოყოლებული მთელი „ფმსბა“, „ბრშ“ და რუსეთის ყველა სპეცსამსახური ერთადერთი საქმით დაკავდა — უკრაინის ტერიტორიაზე ნონა მამულაშვილის ყოველი ნაბიჯი გაეკონტროლებინათ და დაედგინათ, რა საიდუმლო მისიით ესტუმრა კიევს სააკაშვილის ემისარია, რომლის შიშითაც ნაციონალური მოძრაობაში მადლატინა ბოკუშაძე ვერ დაფარინავს და დაბლა რმზნ ბოკოვიჩი ვერ დახონავს.



ჩილაძის სახით, რომელმაც ისარგებლა იმით, რომ მთელი მსოფლიო მედიის ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი და წალენჯინის საკრებულოში რუსეთის მომაკვდინებელი და უკრაინის მაცოცხლებელი „რეჩი“ დაჰკრა: „უკრაინელ ხალხს სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. უკრაინის გარშემო რუსეთის მიერ ინსტირირებული მოვლენები საფრთხეს უქმნის რეგიონს. რუსეთი ოკუპანტია“.

უკრაინა, დაე მტკიცედ და შეურყეველად, წალენჯინის მერი და „ტვ პირველის“ უპრინალისტის დაიკო შენთან არიან!

რუსულს ვერაფერს გვეუბნებიან, მაგრამ ადგილი წარმოსადგენია, რომ ნონა მამულაშვილის უკრაინაში ჩასვლის გამო ისედაც თავზარდაცემული პუტინისათვის ბიორბი ხარჩილაძის სიტყვები „საკონტროლო გასროლასაგან“ იქნებოდა.

საერთოდ, წალენჯინის ნაციონალი მერი სიტყვებს ჰაერში რომ არ ისვრის, ამის საბუთად თუნდაც მარტო ის გამოდგება, გასული წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, „მოვარე არხის“ ეთერში მიხილ სააკაშვილი წმინდა გიორგის რომ შეადარა და „დიოკლეტიანეს ტყვედ“ გამოაცხადა: „ტექსტები ისტორიაში მეორდება, აი, საკვირველად მეორდება. წმინდა გიორგი, რომელიც გამოსახული არის ჩვენს გერბზე, თავისი დიდებულებით ტექსტებში წარმოდგენილია შემდეგნაირად: „ტყვეთა განთავისუფლებელი და გლახკათა ხელის აღმპყრობელი, სწულთა მკურნალი და მეფეთა უძლეველი წინააღმდეგობა“. მომყვებით ტექსტში? ანუ მესამე პრეზიდენტს ვულოცავ გიორგობას. ტყვედ არის დღეს სააკაშვილი, იგივე დიოკლეტიანეს ტყვედ არის, ანუ რეჟიმის ტყვე არის. მუდმივი, ეპოქალური დიოკლეტიანეები მეორდება ხოლმე ისტორიებში და მას მინდა, მივულოცო ამ ტექსტის ამ ნაწილით“.

აი, ასეთი კაცი, არც მეტი და არც ნაკლები, წმინდა გიორგის ძღვევამოსილი ლაშქრის წევრი, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში უკრაინას რომ დაუჭერს მხარს, რუსეთს შიშისა და განცხადების საფუძველი ნამდვილად უნდა ჰქონდეს.

რაც შეეხება წალენჯინელებს, მათ სრული საფუძველი აქვთ, თავიანთი არჩეული მერით იამაყონ! თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი უსაყვარლესი დედულეთის — წალენჯინის მკვიდრთ ასეთი ბრძნული არჩევანი მაშინაც კი არ გაუტყუებიათ, 2003 წლის ნოემბერში რევოლუციური ავტობუსში რომ ჩასხდნენ და სააკაშვილის მისი პოლიტიკური მამისა და იდეური აღმზრდელის — ედუარდ შევარდნაძის დასამხობად თბილისში წაჰყვინდნენ.

თქვენ რა გგონიათ, წალენჯინელებმა ბიორბი ხარჩილაძე მერად იმისათვის აირჩიეს, რომ წალენჯინას მიხედოს და მუნიციპალიტეტში კარგი და მოსახლეობისათვის სარგებლიანი საქმეები აკეთოს? არა, გენაცვალო, წალენჯინელებმა ხარჩილაძეს ბევრად აღმატებული და მასშტაბური მისია დააკისრეს — რუსეთს უნდა ებრძოლოს, დაამარცხოს და არამხოლოდ უკრაინა, არამედ მთელი ევროპის უსაფრთხოება გადაარჩინოს!

ეს რუსეთშიც კარგად იციან და სწორედ წალენჯინის მერის შიშით არის, რომ უკრაინაში სამხედრო ინტერვენცია ჰერაც ვერ გაუბედავთ!

როცა აქეთ ნონა მამულაშვილი გებრძვის და იქით — ბიორბი ხარჩილაძე, აბა, კარგი დედის შვილი ხარ, შენი ჯარისათვის უკრაინაში შეჭრა ვიბრძანებია! პუტინს ორი თავი კი არა აქვს, ერთი ნაცდებუტა მამულაშვილით რომ წაგოს და მეორე — წალენჯინის ნაციონალური ხარჩილაძისათვის!

ასე რომ, რუსეთო, ძრწოდე ნონა მამულაშვილისა და გიორგი ხარჩილაძის წინაშე, როგორც ბუტყუაზია ძრწოდე პრილეტარული რევოლუციის შიშით!

შენ კი, უკრაინა, დეჰ მტკიცედ და შეურყეველად, წალენჯინის მერი და „ტვ პირველის“ უპრინალისტის დაიკო შენთან არიან!

ჯაბა ხუბუა

იპორტი ბიორგანული – ინტერვიუ

10 წლის უამბობ



„თუ დღევანდელი ხელისუფლება მკვეთრად და ცალსახად არ გააიძულება წინა ხელისუფლების მიერ დაბოკავებულ მსოფრძობებსა და ნაძირალებს, საქართველოში სამართლიანობა და ჩვენი ძირძველი ღირსების უსაულოებები ვერასლოდეს იზიიშებს!“

მაღე 27 წელი გახდებდა, რაც საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი იპორტი ბიორგანული სამშობლოდან დევნილია. არადა, მისთვის მსჯავრის დადება ვერც შევარდნაძის და ვერც სააკაშვილის რეჟიმმა ვერ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ეს რეჟიმები სისხლის სამართლის საქმეთა ფაბრიკაციის დიდოსტატებად ითვლებოდნენ. ამჟამად ქართულ სასამართლოში მისი პროცესი მიმდინარეობს და, როგორც ადვოკატი ბაბი მონიანიშვილი აცხადებს, მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში უმცირესი დანაშაულიც არ იკვეთება! დიდი ხნის განმავლობაში იგი ინტერპოლის წითელი ცირკულარითაც კი იძებნებოდა, თუმცა, „ეროტრც კი დარწმუნდა შემარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმების მიერ ჩვენი დავის პროლიტკურ მოტივაციით, ინტერპოლის ბენეფიციარად სამდინდრო ბანხილას ჩვენი უსაფშქლოდ დავის სახე და 2016 წლის ივლისში კახილთა სიიდან ამოშრიცხა. ამის უსახებაც ვცნობა ინტერპოლის წებრ 190-მე მვეყანას, მათ შორის, საქართველოს, სამართლიანობა იზიიშებს! ახლა ჩვენი ძართულ სასამართლოზე, პროცესი ჰინაშრდება, მარტამ დარწმუნებული ვარ, ჩვენი უსაშრულობა უთუოდ დამტკიცდება“. — ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრმა, უშიშროების სამსახურის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა იპორტი ბიორგანული პროლიტკურ საქმეში ბოლო 10 წლის განმავლობაში არ გამოჩენილა, მაგრამ მოულოდნელად, სპეციალურად „საავლ-დასავლისთვის“ ექსკლუზიურ ინტერვიუზე დავთანხმდა. ვნახით, როგორ აფასებს იგი საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობას და რუსეთის პოლიტიკას:

— საქართველო 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე ცლილობს სააკაშვილის ფაშის-ტურ-მარიონეტული ხელისუფლების სისხლიანი, ანტიეროვნული პოლიტიკის მემკვიდრეობიდან თავის დაღწევას, რომელმაც, ფაქტობრივად, თავზე დავაწხო საქართველოს სახელმწიფოებრიობა. მაგრამ, სანამ საქართველოს მმართველ ეშელონებში, მის ძალოვან სტრუქტურებში, სასამართლოებსა და პროკურატურაში თანამდებობებზე რჩებიან სააკაშვილის გუნდის წევრები, თანამოაზრეები თუ გულშემატკივრები, როგორც დათა თუ თამაშნი იტყვოდა: „არ გამოვა, ეს საქმე...“
თუ დღევანდელი ხელისუფლება მკვეთრად და ცალსახად არ გაეიძულება წინა ხელისუფლების მიერ დაბოკავებულ მსოფრძობებსა და ნაძირალებს, რომლებსაც შიდა თუ საგარეო პოლიტიკაში ამინდის შექმნა შეუძლიათ, საქართველოში სამართლიანობა და ჩვენი ძირძველი ღირსების უსაულოებები ვერასლოდეს იზიიშებს!
— საიდან და რა მომენტებიდან უნდა დაიწყო საქართველოში სამართლიანობის აღ-

დგენა?
— ნაცების პარტიული დროში, რომლის ფრიალით ისინი სჩადიდდნენ უსასტიკეს სისხლის სამართლის დანაშაულებებს — კოლტიკური მკვლელობებით დაწყებული, კამპინის ოლიგარქის ბახსინისა, 2008 წლის 8 აბგის-ტოს, სააკაშვილის მიმართ მისახლემობის წინააღმდეგ ბახალბული კმთამკვლეული ომით ბაბრქმელ-ბული, დროში, რომელსაც ამოფარებულმა ანტიქართულმა რეჟიმმა სახელმწიფოებრიობა დაგვაკარგინა, არ უნდა იყოს სახელმწიფო სიმბოლო! თუ მომავალში აფსახუთა და ოსთა შემოშრბმასა და მართიან ძართულ ოჯახში დაბრუნებას მახირბმთ, მსდროშა, ბაბრბი და ჰინინ სასწრაფოდ ისტორიის სანაბმევი უნდა მოშინროლოთ! და ეს ნაცების სისხლიანი რეჟიმის გასამართლებამდე, მათი ფაშისტური პარტიის აკრძალვამდე უნდა მოხდეს! მერწმუნეთ, ამ გარდაუვალი ნაბიჯის შემდეგ საქართველო და ჩვენი ხალხი აუცილებლად იგრობს შევბას და სულიერი ატმოსფეროც


აუცილებლად პოზიტივისკენ შეიცვლება! ამას გარდა, აუცილებელია, ობიექტურად შეფასდეს კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამბობა, რა მომენტებიდანაც საქართველოში უსამართლობების პერიმენტული ციკლი იღებს სათავეს!
— შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლიდან სექტემბერში 50 წელი შესრულდება. როგორ შეაფასებთ მის როლს საქართველოს უახლეს ისტორიაში?
— შევარდნაძეს საქართველოში არაფერი დაუთესია ცინიკური, ამორალური და ეროვნული ცნობიერების დამორგუნველი თესლის გარდა! საბჭოთა პერიოდი იყო და „კორუფციისთან დაუნდობელი ბრძოლის“ ლოზუნგებს ამოფარებულმა თავად ჩახრჩო საქართველო კორუფციის ჭაობში, ხოლო დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში გამოვლილი გენერალი, საქართველოს ცკის პირველი მდივანი, ქართველი ერის დიდი მოამაგე მასილ მშაბანამ კორუმპირებულად შერაცხა და მის საგარძელოში მოკალათებულმა, საქართველო

კორუმპირებულ რესპუბლიკათა სამარცხენო სიის პირველ სამეულში გაამწესა! მაგალითად, თუ მშაბანაძის დროს სამდინდრო უმალბეს სასწრაფმევი „ჩაწობით“ ჩარიცხვა პშრბარლით ამოშრბმოდა, ინიმე „საბმე“ შემარდნაძის აკოთმო-რის კმრიოდში, ანუ ოთხ-მოციანი წლების დასაწყისში, აბიშრბმინტის ოჯახს 100-150 ათას მანეთაშრბ ბა-

შპირა, ხოლო კომპარტი-აში შემვლის მსშრმელებს ძრთამალ 5 ათასი მანეთი, ანუ აბტომანანა „შირბული“ ფასი დაშრბს! ამდენივე უნდა გადაეხადა მოქალაქეს, რათა მისთვის ბინაში ურიოდ გაეყვანათ სატელეფონო ხაზი! განა რამდენი მაგალითი უნდა მოვიყვანო იმის დასტურად, რომ შევარდნაძე ავის თესვას ჭერ კიდევ მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან შეუღდა, როცა 1965-ში საქართველოს მთავარ მილიტრონერად დაინიშნა!
2003 წელს გათამაშებული „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შევარდნაძემ ბოროტი თესლის თესვის ესტაფეტა მის მიერვე გამოშრბილ ლეკვებს გადასცა და დადგება დრო, როცა იგი საქართველოს ისტორიაში „მდშარდ დამანრმევი“ სახელს დაიმკვიდრებს.
შევარდნაძის განსახარტლებლად მარტო ისინი საქმარისი

იქნებოდა, რომ 1991-1992 წლების დეკემბერი-ინვარიის სისხლიანი ბალბრიალების გზით მან საქართველოს რესპუბლიკის რეგიონური პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაამხო, ხელისუფლებას 11 წლით თაყვალაბარონა და ჩვენი საშოპლო ბაბარბანა!
დიახ, მის მიერ წამოწყებული-მა ძართულ-აფსახუშრბ ომ-მბ ათეულათასობით ჩვენი თანამემამულე შეიწირა, სოფლე-
ბაბრძელები მე-14-15 ბვერლებზე

„ახუსილებალია, ობიექტურად შეფასდეს კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამბობა, რა მომენტებიდანაც საქართველოში უსამართლობათა პერმანენტული ციკლი იღებს სათავეს!“



იგორ გიორგაძე – ინტერვიუ

დასაწყისი
21-13 ბერძენი

10 წლის უამბავ

რუსეთი მებაფიზიკაა! დღეს წინა პლანზე დგება რუსეთის, როგორც სულიერი მიზიდულობის სახეობის როლი, რომელმაც ბნელეთის იდეოლოგია უნდა გადაწონოს!



ბი და ქალაქები გადავიწვია, აგ-
ვიწოკა და გაგვიძარცვა. სწო-
რედ მისი მიზნით დაიკარგა
ჩვენი ფაქტობრივი სახელმწი-
ფოებრიობა და მისმა 30-წლი-
ანმა მმართველობამ ვინაა აუწყ-
რელი ზიანი მიაცენა ქართველ-
თა ეროვნულ ცნობიერებას.

— **ალეან სანტერესო იქ-
ნება თქვენი პოლიცია რუსეთ-
ში მიმდინარე მოვლენების
შეფასების კუთხით.**

— 2014 წელს რუსეთის ფე-
დერაციის პრეზიდენტმა **ვლადი-
მირმა პუტინმა** პოსტსაბჭო-
თა სივრცე საგარეო პოლიტი-
კის პრიორიტეტად გამოაცხა-
და. მანვე ფედერალური დუმი-
სადმი 2015 წლის 3 დეკემბრის
ყოველწლიურ მიმართვაში დი-
დი ევრაზიული თანამშრომ-
ლობის ინიციატივა გამოავლი-
ნა. რუსეთის ფედერაციის პრე-
ზიდენტის ეს ორივე ინიციატი-
ვა იმ სახელმწიფოებმა, რომლე-
ბიც ადრე საბჭოთა კავშირის
შემადგენლობაში შედიოდნენ
(და სხვა ქვეყნებმაც!), მიიღეს,
როგორც ერთგვარი მოპატიჟე-
ბა და გზავნილი მოსკოვიდან
მეზობელი ქვეყნებისადმი იმ
ცენტრისტულ ტენდენციებ-
თან მისაერთებლად, რომლე-
ბიც უკვე კარგა ხანია, რუსეთის
ფედერაციაში მოაწოდდა.

ჩვენ შევეჩვიეთ, რომ მსოფ-
ლოს ხალხები რუსეთზე საუბ-
რობენ, როგორც ევრაზიულ
ცივილიზაციაზე, დედამიწის
ხმელეთის 1/6 ნაწილზე არსე-
ბულ სახელმწიფოზე, იმპერია-
ზე, რომელშიც სახლობს მრავ-
ალეროვნული, მრავალკონფე-
სიური მოსახლეობა და ეს მარ-
თლაც ასეა, მაგრამ რუსეთი
არც მარტოდღა გეოგრაფია
გახლავთ და არც ეკონომიკუ-
რი, სამხედრო და პოლიტიკუ-
რი მიზიდულობის ცენტრი!

— **მაშ, კიდევ რა არის რუ-
სეთი?**

— **რუსეთი მებაფიზიკაა!**
დაიხ, დღეს წინა პლანზე დგე-
ბა რუსეთის, როგორც სულიე-
რი მიზიდულობის ცენტრის
როლი! რუსეთი „სინათლის
სულის“ სამფლობელო ტერი-
ტორიაა! ის „დროის სასწო-
რის“ ერთ პიანზე დღეს და ვან-
გებამ მას განსაკუთრებული მი-
სია არგუნა: **ბადაწონის სა-
პირისპირო პინაზე მდებარე-**

რამ „ბნელეთის სული“!

ჩემეული გაგებით, სწორედ
ამ კონტექსტიდან გამომდინა-
რე, რუსეთი იყო და რჩება ევ-
რაზიული მიზიდულობის ცენ-
ტრად, როგორც ორ კონტინენ-
ტზე გაშლილი უმდიდრესი სივ-
რცე „სინათლის სულისა“. დაიხ,
რუსეთი იყო და რჩება სხვადას-
ხვა რელიგიისა და აღმსარებლო-
ბის ქვეყნებისა და ხალხების მი-
ზიდულობის ცენტრად, რომე-
ლიც მტკიცედ იცავს შვიდო-
ბის, სიკეთისა და სამართლი-
ანობის ტრადიციულ ცნებებს,
წინა თაობათა ტრადიციულ
ღირებულებებს.

— **მაგრამ საქართველოდან
რუსეთი აშკარად სხვა კუთ-
ხით მოჩანს...**

— შევეცდები, მოკლედ მო-

გვეგმაზომიერად ანგრედნენ
კრემლის მაშინდელი მესვეურე-
ბი, ასეთ შემთხვევაში საბჭოთა
კავშირის დაშლის შემდეგ სა-
ქართველოს მომავალი განვითა-
რების 3 ვარიანტი არსებობდა:

1. **საქართველოს, რო-
გორც ნეიტრალურ სახელ-
მწიფოდ ჩამოყალიბება;**
2. **„კომუნისტურ დასავ-
ლეთთან“ ერთად ნატოში
ბაშტინაშა;**
3. **რუსეთთან ერთად ერ-
თიან მგზავილ თანამე-
ზობრობაში შესვლა.**

— **თქვენთვის რომელი ვა-
რიანტი იქნებოდა მისაღები?**

— ფეიქრობ, იმ დროს ჩვენ-
თვის ყველაზე სასურველი
პირველი მარინატი იყო. მაგ-
რამ ეს შესაძლებლობა ჩვენ დაე-

კარგეთ, როგორც კი აქცენტი
უნიტარული ქართული სახელ-
მწიფოს მშენებლობაზე გადაე-
თეთ. ამდენად, გასაგებია, რომ
აფხაზეთის ავტონომიურ რეს-
პუბლიკასა და სამხრეთ ოსე-
თის ავტონომიურ ოლქში
მცხოვრებმა საქართველოს მო-
ქალაქებმა ეს აქცენტი მიიღეს,
როგორც პერსპექტივაში მათ-
თვის ავტონომიის უფლების ჩა-
მორთმევის საფრთხე.

შემდეგ მოხდა უარესიც — ავ-
ტონომიებთან პირდაპირ სამ-
ხედრო კონფლიქტებიც გაჩაღ-
და, რაც საბოლოოდ 2008
წელს რუსეთის მიერ ამ ავტო-
ნომიების დამოუკიდებელ ქვეყ-
ნებად აღიარებით დასრულდა.
აი, ამგვარად გაცამტვერდა
მართულ-აფხაზური და მარ-
თულ-ოსური საზოგადოე-

**ბის მრავალსაშუალომანი
მართობა და რეალურად ჩვენ-
მა მმართველებმა (კონკრეტულ-
ლად კი უმმარდნაქმ და სა-
სააზმილმა)** თავად ჩაატყვეს
საქართველოს სახელმწიფოე-
ბისა და ზურგში ლახვარი. ამგ-
ვარად, დიდი ხნით დასამარდა
არამხოლოდ საქართველოს ნე-
იტრალიტეტის, არამედ ქვეყნის
ტერიტორიული მთლიანობის
აღდგენის პერსპექტივაც!

— **ნაწილობრივ გეთანხმე-
ბით, თუმცა, არ მინდა პოლე-
მიკაში შემოსვლა. მეორე ვა-
რიანტზე, ანუ ნატოში გაერ-
თიანებაზე რას გვეტყვი?**

— ამასვე მოკლედ შემოვი-
ფარგლებ: რეალურად „ნატოს
ქოლგის ქვეშ“ გაერთიანებისა-
კენ ქართველი ხალხი კი არა,



**„თუ შეაჯანაჰის დროს
სამედიცინო უმაღლეს
სასწავლებელში
„ჩაწყობით“ ჩარიხსვა
პურიარლით
აპოინურებოლა, იგივე
„საქმე“ შევარდნაჰის
აპოთაოჰის პერიოდში,
ანუ ოთხმოციანი წლები
დასაწყისში,
აბიჭურიენების ოჯახს
100-150 ათას
მანეთამდე გაუკვირა!“**



გახსენოთ რუსეთის ირგვლივ
მიმდინარე ინტერაციის პრო-
ცესების მიმართ საქართველოს
ხედვასთან დაკავშირებით.
1985-1991 წლებში, წითელი
იმპერიის მიზანმიმართული დე-
მონტაჟის პერიოდში, ჩვენ ვა-
ქანებულნი ორთქლმავლის წინ
რომ არ გვერბინა და არ მოგ-
ვენდომებინა, ყველასათვის დაგ-
ვესწრო საბჭოთა კავშირიდან
გამოსვლა, რომელსაც ისედაც

უცხოელი პატრონების მიერ
მოსყიდული, ე.წ. პროდასავლე-
ლი პოლიტიკოსების ნაწილი
ისწრაფვის. ფულისა და პირა-
დი პრივილეგიების მოპოვების
მიზნით, მათ საქართველო კო-
ლექტიურ დასავლეთს ფეხქვეშ
გაუფინეს და მზად არიან, ჩვე-
ნი სარწმუნოება, ფუნდამენ-
ტური ეროვნული ღირებულებე-
ბები, საუკუნოვანი ტრადიცი-
ები, წინაპართა სალოცავები,
ანუ ყველაფერი, რაც დღემდე
გამოხატავს ქართველი ერის
თვითმყოფადობას, უნეშად გა-
თელონ და ამოძირკვონ!

ბუნებრივია, საზოგადოების
ჯანსაღი ნაწილის წინაშე საბე-
დისწერი კითხვა წამოიჭრა:
ნუთუ სამიათასწლიანი ისტო-
რიის მქონე ქვეყანა, რომელმაც
მტრულ გარემოცვაში სახელმ-
წიფოებრიობის შენარჩუნება
უთანასწორო და სამკვდრო-სა-
სიცოცხლო ბრძოლებში მოა-
ხერხა, 21-ე საუკუნეში მსოფ-
ლით პოლიტიკური რუკიდან
უნდა გაქრეს და გმირი ერი კი
უცხოეთიდან მართულ ბრბოდ
იქცეს, რომლის ერთადერთი და-
ნიშნულბა რუსეთის მუდმივი
გაღიზიანება და ომის პროვო-
ცირება იქნება? არადა, ჩვენ
ზამაგმს წინაპრების მიერ შემ-
ოშაგებული, საშუალომანი
ნაწილობრივ, ღირსეულად
არსებობის და განვითარე-
ბის მარინატი — მიმოქრა-
ოთ რუსეთთან ერთად ერ-
თიან მგზავილ თანამე-
ზობრობაში! ამ არჩევანის მარ-
თებულობა ჯერ კიდევ წინასწი-
ნა საუკუნეში გამოჩენილმა
ქართველმა მამულმწიფომ, რუ-
სეთის იმპერიის სახელმწიფო
სათათბიროს წვეგრმა, დიდმა
მწერალმა და პუბლიცისტმა,
ფილოსოფოსმა და აწ უკვე წმი-
დანად აღიარებულმა თვით
ილია ჭავჭავაძემ აღიარა:

აი, ციტატები მისი ცნობი-
ლი წერილიდან „ასის წლის
წინათ“:

„...სხვა ვა არ იყო, მე-
ფე გიორგის ან ოსმალეთ-
თან უნდა დაეჭირა საქმე,
ან სპარსეთთან და ან რუ-
სეთთან, რომ როგორმე გა-
დაერჩინა საქართველო
ამოდენ ერთად ზედმოსე-
ულ უბედურებისაგან. ამ
საქმეს აჩქარებდა უნდოდა.
დვთის-მოსავმა და დვთის-
მოვევარე მეფე გიორგიმ,
რა თქმა უნდა, ერთმორწ-
მუნე რუსეთი ირჩია. ამას
ეუბნებოდა წინაპართა ან-
დერძიცა, რადგანაც, მის-
და მეფობის წინათაც, ჯერ
კიდევ 1576 წლითგან, სა-
ქართველოს მეფენი ბეგ-
რჯერ გამოჰლაპარაკებინ
რუსეთს და მისგან ხელ-
შეწყობას და ნელის გა-
მართვას მოჰლოდებინ.
ქრისტეს ჯვარისათვის
ჯვარცმულ ერის მეფემ
ქრისტეს ჯვარისვე მოხა-
ვი ერი მოიწვია საშველად
და მგვარველად.

... ასე შემოვიდა რუსის
ჯარი ტფილისში. ამ დიდის
ყოფით და ამბით დახვდა
რუსეთის ჯარს მეფე და
ერი. სასოწარკვეთილმა მე-
ფემ და ერმა ძლივს ნუგე-
შით და იმედით გაიციოცხ-
ლა გული. მეფის კარიდამ
დაწყებული უკანასკნელ
ქონამდე სხხარულმა ვაშა-
ლა თავისი სანატრელი
ფრთა, სხხარულმა ხსნისამ
და ნუგეშისამ. დიდი ხანია,
საქართველოს ამისთანა
ბრწყინვალე დღე აღარ ენა-
ხა. ყველას, დიდიდამ პატა-
რამდე, ქალით კაცამდე, გუ-
ლი ავესო იმ სანატრელ იმე-

დითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოსახლეობის მხედრობისა და პატრონობისა და მფარველობის, იმ ბედნიერად და უტყვევრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამებრებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით პრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირსსახვოვარ დღივამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუშვიდედელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლემბისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა უღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაპქრა ცეცხლი, რომელიც სწავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულის და მართო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრად-და დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც დემრთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინადამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწეოდ, უფუგეშ, ვეგლასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნეობის სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდგა საზღვარი მშვიდობის-ყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გადვიტებული შეფე და ერის, გულწრფელად მიენდო

„2003 წელს გათავაზებული „პარადების რეპოლუსიის“ შედეგ შევარდნაქემ ბოროტი თხსლის თხსვის ესტაფაბა თხსვის გამოზრდილ ლეკვებს გადასცა!“



თავისის მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშით ფრთა შესწმული. **დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ., სწორედ ახი წელიწადია მას აქეთ.**

საეციალურად მოვიყვანე ეს ვრცელი ციტატა, რომელიც აღრეც გამოიყენებია და ვაპირებ, მომავალშიც დავეყრდნო. ასე ვიქცევი იმის გამო, რომსა-მართებულ-რუსეთის ურთიმართობის მოწინააღმდეგენი ამ პუბლიკაციის არსებობასაც კი გამოიზნულად მაღავენ. ისინი აგერ უკვე მეორე თაობას ზრდიან რუსეთისადმი ღვარძლით. — „მე მიძნებნი ბოლომდე მართებელი, რომელმაც ღმერთს ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ და-



— მე და ჩემმა თანამოაზრეებმა დიდი ხნის წინათ გავაკეთეთ ურყევი არჩევანი.

ჩვენი ალბილი არის მათ გვერდით, ვისთან ყოფნას ნინა თაობაგამ გვიანდარკან. ავიტომ საქართველოს მოსახლეობა რას შეიძლება მალა უნდა გამოარიღოს სიბინძურისა და სოლომის

— მე და ჩემმა თანამოაზრეებმა დიდი ხნის წინათ გავაკეთეთ ურყევი არჩევანი.

ღვარჯობა, რომელიც საუკუნის ოთხმოცდამეცხრე წლებიდან მიწვევნილად უფსკრულიან მიგვიქანებს.

უნდა მივალწიოთ იმ ნაპირს, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში მოსისხლე მტრებით გარემოცული ჩვენი წინაპრები გადარჩენილან. ამ ნაპირს მართმორწმუნე რუსეთი ჰქვია!

როცა ერთმორწმუნე რუსეთზე ვსაუბრობ, მხედველობაში მაქვს, რომ ის ერთმორწმუნე არამხოლოდ უმრავლეს-

სობის — მართლმადიდებლობის მიმდევარი მრევლისათვის, არამედ მუსულმანებისათვის, იუდეველებისათვის, იმ სარწმუნეობათა წარმომადგენლებსათვის, რომლებიც რუსეთსა და საქართველოში ცხოვრობენ. მოცემულ შემთხვევაში, მთავარი ერთმორწმუნეობა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მხრიდან ჩვენი წინაპრების ტრადიციული ღირებულებების ერთგულეებაში მდგომარეობს!

— თქვენს პოზიციებში არის რაციონალურიც და საკამათო პასუხებიც. დაე, საზოგადოებას განსაჯოს! რას უსურვებთ ქართველ ხალხს?

— ჩემს სურვილს მცირე სადღეგრძელოს ფორმით გეტყვით: განგებამ „გვარჯუნა“, გვეცხოვრა ხანაში, როდესაც კაცობრიობა შესულია სინათლესა და სიბნელეს შორის სამკვრო-სასიცოცხლო დაპირისპირების გადამწყვეტ სტადიაში.

თავი ბედნიერად უნდა ვიგარძნოთ, რომ ყოველს შემოქმედმა ჩვენ — ვინც ვიზიარებთ წინაპრების რწმენასა და ტრადიციულ ფასეულობებს — ადგილი სინათლის მხარეს განგვი-საზღვრა.

და თუ იმ აბრეხიულ ვეხიარსობასთან ბრძოლაში, რომელიც კასობრიობას საბანისგან მოხავეულ კანონებს უნებს, რომელიც ჩვენგანს თხსვის შენიკვა უნარია, დაე, ეს იყოს ნიდეა გარიგი სინათლისა და უფლის სადიდაბლად!

ესაუბრა ზაზა დავითაია

„ნახების პარტიული ღრობა, რომელსაც ამოფარებულმა ანტიქართულმა რეჟიმმა სახელმწიფოებრიობა დაგვიპარგვინა, არ უნდა იყოს სახელმწიფო სიბოლო! თუ მომავალში აფხაზთა და ოსთა შემორიგებასა და ერთიან ქართულ ოჯახში დაბრუნებას ვაპირებთ, ეს ღრობა, გარბი და ჰიბნი სასწრაფოდ ისტორიის სანაგვეზე უნდა მოვიხროლოთ!“





ვიქტორია ნულანდი ქივში ორსხობილებს ურიბებს ე.წ. გაიღვის მონაწილეთს 2014 წელი

„უკრაინელებმა თავითი სულური პოლიტიკით ყირიმი, ღონისი და ლუბანსკი ვიქტორია ნულანდის „პონიკაზი“ გახვედნენ, ხოლო ჩვენ აფხაზეთი და სამხრეთი საქართველო „ნაბო-ნაბოს“ ქახილში დავკარგეთ!“

მოსულა! თუ უკრაინას არავითარი საფრთხე არ ემუქრება და ნატო უკრაინას დაიცავს, ამერიკის ელჩი კიევიდან რატომ გაიქცა?

ძალიან მძიმე დღეშია უკრაინა და თუ იქ გასროლა მოხდა, უზარმაზარი ქვეყანა საბოლოოდ დაიშლება. გამოვიდა ისრაელის თავდაცვის ყოფილი მინისტრი იაკობ კაძი და თქვა — საკმარისია, რუსეთმა უკრაინაში წერტილოვანი დარტყმები განახორციელოს, უკრაინის მთელი თავდაცვის სისტემა მაშინვე მოიშლება!

